ოქმი:**ო31. 3125199001**
თარიღი:**18/07/2025**

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის**
**ოქმი N9**

ქ. ლანჩხუთი

18. 07. 2025 წელი

**საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები ვერიკო კვირკველია და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ნიკოლოზ კოზანაშვილი, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე.

**სხდომას ესწრებოდა მოწვეული სტუმარი:** მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ალეკო კირვალიძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ რიგგარეშე სხდომა მოწვეულ იქნა მუნიციპალიტეტის მერის წინადადების საფუძველზე, რათა დროულად იქნას გადაწყვეტილი მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხი.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2025 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/ მომხსენებელი ალეკო კირვალიძე /

**დღის წესრიგის პირველი საკითხი:** ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2025 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **ალეკო კირვალიძემ.** მისი განმარტებით, განსახილველად და მოსაწონებლად წარმოგიდგენილი აქვთ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2025 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა, რომლის მიხედვითაც

დაგეგმილია მაჩხვარეთის, ჩიბათის, ღრმაღელის, სუფსის და ქ.ლანჩხუთის

ადმინისტრაციულ ერთეულებში ხელოვნურსაფარიანი მინი სტადიონების მშენებლობა ღირებულებით- 700000 ლარი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 17 წევრი.**
**მომხრე საკრებულოს 17 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.**
**მიღებულ იქნა განკარგულება N 29 (18.07.2025).**

**ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.**

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრთა
დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

**18** ივლისი **2025** წელი
**12:00** საათი

| № | სახელი, გვარი | გამოცხადების დრო | ხელმოწერა |
|---|---|---|---|
| 1 | ბესიკ ტაბიძე | 11 58 | |
| 2 | ემზარ თევდორაძე | 11 57 | |
| 3 | ვერიკო კვირკველია | 11 35 | |
| 4 | გიორგი ჩახვაძე | 11 55 | |
| 5 | გიორგი ხელაძე | 11 55 | |
| 6 | ალექსანდრე მახათაძე | 11 36 | |
| 7 | ზაზა წულაძე | 11 55 | |
| 8 | კარლო კვიტაიშვილი | — | |
| 9 | გიორგი იმნაიშვილი | 11 45 | |
| 10 | ია მოქია | 11:55 | |
| 11 | კახაბერ ასკურავა | — | |
| 12 | მაკა მშვიდობაძე | — | |
| 13 | ვლადიმერ ნანაძე | 11 55 | |
| 14 | კარლო წილოსანი | 11 58 | |
| 15 | ლოლიტა ურუშაძე | 11 55 | |
| 16 | ნინო მშვიდობაძე | 11 56 | |
| 17 | გოგი მორჩილაძე | 12. 00 | |
| 18 | სპარტაკ კვაჭაძე | 11-53 | |
| 19 | გიორგი გოგუაძე | — | |
| 20 | გოჩა ჯანაშია | — | |
| 21 | ელისო ჭიჭინაძე | — | |
| 22 | რევაზ კვერენჩხილაძე | 11 56 | |
| 23 | კახა თედორაძე | — | |

| | | | |
|---|---|---|---|
| 24 | დარეჯან ბურჭულაძე | 11 55 | |
| 25 | ირმა მგელაძე | — | |
| 26 | გივი ცინცაძე | — | |
| 27 | ჯუმბერ ბლაგიძე | — | |